საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერწახვი

ერწახვი, ერცახუ, მწვერვალი გულრიფშის მუნიციპალიტეტში, აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე. სიმაღლე ზ. დ. 3910 მ. აგებულია კამბრიულისწინა და ადრინდ. პალეოზოური კრისტ. ფიქლებით. ჩრდ. კალთა დამრეცია, სამხრ. – ციცაბო. ე-ის სამხრ. კალთის 2 მყინვარი ასაზრდოებს მდ. ჩხალთის (კოდორის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. შენაკადებს. დამახასიათებელია სუბნივალური და ნივალური ლანდშაფტი. ე-ის აღმ-ით მდებარეობს ამავე სახელწოდების მეორე მწვერვალი (3863 მ).

ი. ძიძიგური